შპს „ნიავი“

ს/კ 230040808 ; ქ. ზესტაფონი, სტაროსელსკის ქ. №217 ; ტელ.: 5 51 88 83 33 ; E-mail: malxazloladze@gmail.com

„–16–„ „–დეკემბერი–„ 2021 წელი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

გაცნობებთ, რომ შპს „ნიავი”-ს (ს/კოდი 230040808) ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. პირველი სვირის ტერიტორიაზე, ფ.პ. გივი დეკანოიძისაგან იჯარით აღებულ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე საკ. კოდი N32.11.32.395 დაწყებული აქვს ქვიშა-ხრეშის სამსხვრევის აღდგენა.

აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე 2017-2020 წლებში ფუნქციონირებდა შპს „ალპედე“-ს ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმო, რომლისთვისაც შემუშავებული და 2017 წლის 07 აპრილს სამინისტროსთან შეთანხმებული ჰქონდა ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში.

2020 წელს საწარმოს ტერიტორია გადაკვეთა სახელმწიფო ელექტროგადამცემი სისტემის 220 კვ ე.გ.ხ. „სურამი“-ს გადამცემმა ხაზმა. ობიექტის ინფრასტრუქტურის ნაწილი მოხვდა სახელმწიფო ელექტროსისტემის გადამცემი ხაზების გასხვისების ზოლში, მაღალი ძაბვის სადენების ქვეშ. სახელმწიფო ელექტროსისტემების სამმართველოს მოთხოვნით განხორციელდა სამსხვრევ-დამხარისხებელი ხაზის დემონტაჟი.

მიწის მფლობელის მიერ, დაიწყო არსებული საწარმოს ტექნოლოგიური დანადგარების ნაწლის სხვა ადგილზე გადამონტაჟება.

რადგან ბუნებრივი რესურსების გადამუშავება შედის საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 5.1 პუნქტში, მეშვიდე მუხლის შესაბამისად ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას. აღნიშნულის გათვალისწინებით შემუშავებული იქნა სკრინინგის განცხადება.

წარმოგიდგენთ ზემოაღნიშნულ განაცხადს. გთხოვთ, განიხილოთ და მიიღოთ გადაწყვეტილება საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი დაქვემდებარების შესახებ.

დანართი: სკრინინგიის განაცხადი და განაცხადის ელ. ვერსია;

პატივისცემით

გივი დეკანოიძე

დირექტორი

საქართველო. შპს „ნიავი“ 230040808 GEORGIA. "NIAVI" LLC

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო № 23099 17. 12. 2021 15:37